



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი:

25.03.2024



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

გიორგი

მახაროზლიშვილი



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	საერთაშორისო სამართალი
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე ²	VII
4	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო სამართლის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ³	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	სამართალი/Law 0421
7	სწავლების ენა	ინგლისური ენა
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი ⁵	საქართველო, თბილისი, 0160, გურამ ფანჯიკიძის ქუჩა, N1/პეკინის გამზირი N42ა
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 24/03/2023 MES 2 23 0000338107
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	06.03.2023
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად	06.03.2024

¹დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

²ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



	განსაზღვრული ვადა, თარიღი	
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	01.07.2026

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგიის დაორგანიზება, პროგრამის ათვისების შედეგების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			



შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

1. რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს, დეტალურად გაიწეროს და საჯაროდ გამაქვეყნდეს ინფორმაცია პროგრამაზე მისაღები გამოცდის ფორმის, შინაარსის, კრიტერიუმებისა და ვადების შესახებ, ასევე განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის(ების) თაობასა და ინფორმაციის განთავსების გონივრულ ვადებზე, და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ეს უნდა განთავსეს ვებგვერდზე.
2. იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს აქტიური პრაქტიკა, გაძლიერდეს კავშირები პროგრამის შესაბამის ორგანიზაციებთან და გაფორმდეს მემორანდუმები დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს შერჩევის წინაპირობებსა და წესებს იმ შემთხვევისთვის, თუკი ორგანიზაცია თავად შეარჩევს სტუდენტებს; ასევე განისაზღვროს შესასრულებელი პრაქტიკული დავალებების მინიმალური რაოდენობა და სახეობა.
3. უნივერსიტეტის მარეგულირებელ აქტებში უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად ჩაიწეროს შეფასების ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რომელი აკადემიური პერსონალისა და პირის წახალისება მოხდება სამოტივაციო და წამახალისებელი მექანიზმებით და დეტალურად აღიწეროს განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული შედეგების ანალიზის პროცესი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული სამივე რეკომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

1. რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს, დეტალურად გაიწეროს და საჯაროდ გამაქვეყნდეს ინფორმაცია პროგრამაზე მისაღები გამოცდის ფორმის, შინაარსის, კრიტერიუმებისა და ვადების შესახებ, ასევე განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის(ების) თაობასა და ინფორმაციის განთავსების გონივრულ ვადებზე, და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ეს უნდა განთავსეს ვებგვერდზე.

უსდ-ს მიერ გაანალიზებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია და დაკონკრეტებულია და საჯაროდ არის გამოქვეყნებული

⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

⁷საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, ინფორმაცია პროგრამაზე მისაღები გამოცდის ფორმის, შინაარსისა და ვადების თაობაზე, ასევე, პასუხისმგებელი პრების შესახებ. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

2. იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს აქტიური პრაქტიკა, გაძლიერდეს კავშირები პროგრამის შესაბამის ორგანიზაციებთან და გაფორმდეს მემორანდუმები დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს შერჩევის წინაპირობებსა და წესებს იმ შემთხვევისთვის, თუკი ორგანიზაცია თავად შეარჩევს სტუდენტებს; ასევე განისაზღვროს შესასრულებელი პრაქტიკული დავალებების მინიმალური რაოდენობა და სახეობა.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, საერთაშორისო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის განხორციელების მიზნით, გაფორმებულია სულ 11 მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტებთან, საიდანაც 5 არის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების გაცემის შემდგომ გაფორმებული.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო პრაქტიკის სავალდებულო კურსი, რომლის ძირითადი მიზანია სტუდენტს მისცეს პრაქტიკაზე დაფუძნებული განათლება საერთაშორისო სამართალში, შესძინოს საერთაშორისო სამართლის თოერიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილებათა მიღების უნარი. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

3. უნივერსიტეტის მარეგულირებელ აქტებში უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად ჩაიწეროს შეფასების ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რომელი აკადემიური პერსონალისა და პირის წახალისება მოხდება სამოტივაციო და წამახალისებელი მექანიზმებით და დეტალურად აღიწეროს განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული შედეგების ანალიზის პროცესი.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და აკადემიური პერსონალის დატვირთვის სახელმძღვანელო“, სადაც განსაზღვრულია აფილირებული აკადემიური პერსონალის კვლევითი/შემოქმედებითი პროდუქტიულობის წახალისების წესი. აღნიშნული რეგულაცია ითვალისწინებს კვლევითი საქმიანობის გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში ერთჯერად ფინანსურ მხარდაჭერას და მისი განხორციელების პროცედურებს. აღნიშნული წესით განსაზღვრულია კვლევითი საქმიანობის კატეგორიები, რომელთა გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში გაწერილია ფინანსური წახალისების სხვადასხვა მოცულობა. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.



რჩევები⁸

1. უმჯობესი იქნება, თუკი დასკვნითი გამოცდის გადასალაზი ზღვარი უფრო მაღალი იქნება;
2. ხელი შეეწყოს საერთაშორისო მობილობის უფრო მეტად გამოყენებას;
3. პროგრამის სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო/ადგილობრივ სამედიცინო/სამეცნიერო ღონისძიებებში;
4. სასურველია, უსდ-მ მომავალში უზრუნველყოს, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ, რეგულარული სამეცნიერო პროდუქტის შექმნა;
5. მიზანშეწონილია გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა;
6. პარტნიორ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან უფრო ხშირი და ინტენსიური ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, მათ შორის აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების ჩართვა;
7. დარწმუნებული უნდა იყოს, რომ კანონთან დაკავშირებული ყველა მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომია, მაგალითად hein-online და lexisnexis.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რჩევების გათვალისწინება პროგრამის განხორციელების პარალელურად საჭიროებისამებრ წარმართა და მათი ნაწილი უკვე გათვალისწინებულია, ხოლო დანარჩენ რჩევებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში, თუ ამ მიმართულებით გამოიკვეთება გასაუმჯობესებელი მხარეები, უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ფოკუსირებული იქნება მათ გაუმჯობესებაზე და საჭიროების შემთხვევაში არსებული რჩევების სრულად გათვალისწინებაზე.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში არ შეიცავს სხვა არსებით მონაცემებს რჩევების გათვალისწინების შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

⁹საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში



რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება ¹³	2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია I ¹⁴	რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს, დეტალურად გაიწეროს და საჯაროდ გამაქვეყნდეს ინფორმაცია პროგრამაზე მისაღები გამოცდის ფორმის, შინაარსის, კრიტერიუმებისა და ვადების შესახებ, ასევე განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის(ების) თაობასა და ინფორმაციის განთავსების გონივრულ ვადებზე, და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ეს უნდა განთავსდეს ვებგვერდზე.
შეფასება	<p>თვითშეფასების ანგარიშით და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სამართლის სფეროში; 2) საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება; 3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: <ol style="list-style-type: none"> (ა) სტუდენტის მიერ შევსებული აპლიკაციის ანალიზი; (ბ) გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე), გამოცდიდან განთავისუფლებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერთიფიკატს ((TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE) ან ბაკალავრის ან შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებული აქვთ ინგლისურ ენაზე; (გ) გამოცდა სპეციალობაში, რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა არჩეულ დარგში და

¹¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹²სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>შეფასდეს აპლიკანტის უნარ-ჩვევები. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია - „უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / 5 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის.</p> <p>უსდ-ს მიერ გაანალიზებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია და დაკონკრეტებულია და საჯაროდ არის გამოქვეყნებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, ინფორმაცია პროგრამაზე მისაღები გამოცდის ფორმის, შინაარსისა და ვადების თაობაზე, ასევე, პასუხისმგებელი პრების შესახებ. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში; • ვებგვერდი [https://gipa.ge/geo/program/show/saertashoriso-samartali]; • შიდა საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდების საკითხები და შეფასების სისტემა; • საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია II ¹⁵	იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს აქტიური პრაქტიკა, გაძლიერდეს კავშირები პროგრამის შესაბამის ორგანიზაციებთან და გაფორმდეს მემორანდუმები დარგობრივი

¹⁵საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>მხასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს შერჩევის წინაპირობებსა და წესებს იმ შემთხვევისთვის, თუკი ორგანიზაცია თავად შეარჩევს სტუდენტებს; ასევე განისაზღვროს შესასრულებელი პრაქტიკული დავალებების მინიმალური რაოდენობა და სახეობა.</p>
შეფასება	<p>თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, საერთაშორისო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის განხორციელების მიზნით, გაფორმებულია სულ 11 მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტებთან, საიდანაც 5 არის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების გაცემის შემდგომ გაფორმებული.</p> <p>საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო პრაქტიკის სავალდებულო კურსი, რომლის ძირითადი მიზანია სტუდენტს მისცეს პრაქტიკაზე დაფუძნებული განათლება საერთაშორისო სამართალში, შესძინოს საერთაშორისო სამართლის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილებათა მიღების უნარი. სასწავლო პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებულია პრაქტიკის შეფასების კომპონენტები. კერძოდ, სასწავლო პრაქტიკის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით შემდეგი შეფასების კომპონენტების მეშვეობით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დამსაქმებლის (პრაქტიკის ობიექტზე უშუალო ხელმძღვანელის) შეფასება (40%) 2. დღიურის წარმოება (30%) 3. პრაქტიკის ანგარიშის წარდგენა (30%) - დასკვნითი შეფასება. პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსით, ასევე, გათვალისწინებულია შეფასების კრიტერიუმებისა და მათი განაწილების სქემა. <p>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში; • მემორანდუმები; • სილაბუსი „სასწავლო პრაქტიკაში“.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
-----------------------	--------------------------------------



კომპონენტის დასახელება	4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
რეკომენდაცია II ¹⁶	უნივერსიტეტის მარეგულირებელ აქტებში უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად ჩაიწეროს შეფასების ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რომელი აკადემიური პერსონალისა და პირის წახალისება მოხდება სამოტივაციო და წამახალისებელი მექანიზმებით და დეტალურად აღიწეროს განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული შედეგების ანალიზის პროცესი.
შეფასება	უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და აკადემიური პერსონალის დატვირთვის სახელმძღვანელო“, სადაც განსაზღვრულია აფილირებული აკადემიური პერსონალის კვლევითი/შემოქმედებითი პროდუქტიულობის წახალისების წესი. აღნიშნული რეგულაცია ითვალისწინებს კვლევითი საქმიანობის გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში ერთჯერად ფინანსურ მხარდაჭერას და მისი განხორციელების პროცედურებს. აღნიშნული წესით განსაზღვრულია კვლევითი საქმიანობის კატეგორიები, რომელთა გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში გაწერილია ფინანსური წახალისების სხვადასხვა მოცულობა. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და აკადემიური პერსონალის დატვირთვის სახელმძღვანელო.

თანდართული დოკუმენტაცია¹⁷

¹⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁷თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა



ექსპერტის ხელმოწერა

გიორგი მახარობლიშვილი